

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის
(www.government.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და
ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 14 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.


www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge

საქართველოს მთავრობა

www.government.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრის კომპეტენციის აღწერა და ტექსტური სახით მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი;

საქართველოს პრემიერ-მინისტრი



ნიკა გილაური დაიბადა 1975 წელს ქ. თბილისში.

სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე.

1995 წელს დაამთავრა ინგლისის ბიურნემოუნტის კოლეჯი, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ლიმერიკის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი ფინანსებისა და ეკონომიკის განხრით.

1999-2000 წლებში სწავლობდა ფილადელფიის ტემპლეს უნივერსიტეტში. 2000 წელს დაიცვა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტში (პარიზი-ფილადელფია-ტოკიო). პარალელურად 1999 წელს მუშაობდა დუბლინის საერთაშორისო საფინანსო ცენტრში - საფონდო მენეჯმენტის კორპორაცია „ინვესკოში“ ფონდების ადმინისტრატორ-მენეჯერად.

2000 წელს იყო ფილადელფიის, მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრის ენერგო დაზოგვის პროექტების ფინანსური კონსულტანტი.

2001 წელს დაინიშნა საქართველოს ტელეკომში ფინანსურ კონსულტანტად.

2002 წელს მუშაობდა - ესპანური კონსორციუმის „იბერდროლას“ საქართველოს ენერგობაზრის მენეჯმენტ-კონტრაქტორად, ფინანსურ კონსულტანტად.


2003 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა ირლანდიური კომპანია ი-ეს-ბი-იში საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მენეჯმენტ-კონტრაქტორად, ფინანსურ მაკონტროლებლად.

2004-2007 წლებში იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი.

2007 წლის 30 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად.

2009 წლის 6 თებერვალს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი



- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის კომპეტენციის აღწერა და მისი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან

კანცელარიის უფროსს. საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების თანახმად, კანცელარიის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი:



დავით კერესელიძე დაიბადა 1972 წლის 23 იანვარს ქ. თბილისში.

1994 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2001 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, ხოლო 2007 წელს - დოქტორანტურა.

1993-1995 წლებში ეწეოდა კერძო იურიდიულ პრაქტიკას, იმავდროულად მუშაობდა საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი საწარმოს იურისტად.

1995 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. იყო სამინისტროს სტაჟიორ-კონსულტანტი, საკანონმდებლო დეპარტამენტის კონსულტანტი, წამყვანი კონსულტანტი, შემდეგ კი იუსტიციის სამინისტროს მთავარი კონსულტანტი სახელმწიფო სამართლებრივ საკითხებში. პარალელურად მიწვეული იყო ექსპერტ-კონსულტანტად საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში, სადაც მონაწილეობდა პარლამენტის რეგლამენტის ახალი პროექტის შექმნაში. 1996 წლიდან იმავდროულად საქმიანობდა საქართველოს სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიაში.

1998-2001 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე იურიდიულ საკითხებში, ხოლო შემდეგ - პირველი მოადგილის თანაშემწე-სამდივნოს უფროსი.

2001 წლის დეკემბრიდან 2004 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელიარიაში საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ - ამავე სამსახურის უფროსად.

2004 წლის 5 მაისს დაინიშნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი განყოფილების უფროსად, 2004 წლის დეკემბრიდან - იურიდიული დეპარტამენტის უფროსად - პრემიერ-მინისტრის მრჩეველად, შემდეგ კი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილედ.

2008 წლის 20 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის პირველი მოადგილედ, იმავდროულად - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ჩინი, ხოლო 2004 წელს - იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველის უმაღლესი სპეციალური წოდება.

მიღებული აქვს მონაწილეობა მსოფლიო ბანკის, ამერიკელ იურისტთა ასოციაციის (ABA), საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამომიებო კომისიისა და TI-ს (Transparency International), კორუფციის ცვლელის ცენტრის, ამერიკის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართულ კონფერენციებსა და სემინარებში.

იყო საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ქ. სტრასბურგში ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ წლის შემაჯამებელ კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მდგომარეობის შეფასებას (პროგრამა „OCTAPUS“).

არის მრავალი მოქმედი კანონისა და კანონპროექტის, აგრეთვე რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

- ვებ-გვერდზე სასურველია მოიძიებოდეს ვიცე-პრემიერების კომპეტენციათა (უფლება-მოვალეობათა) აღწერა, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ
სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერი
გიორგი ბარამიძე

www.eu-nato.gov.ge

ინგოროყვას ქ. N7

ტელ: 293 28 67

დაწვრილებით



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერი
ეკატერინე ტყეშელაშვილი

www.smr.gov.ge

ინგოროყვას ქ. N7

ტელ: 292 18 81

დაწვრილებით

- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილეთა კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან კანცელარიის უფროსის მოადგილეებს. საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების თანახმად საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის წარდგინებით:



საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე-საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსი
მერაბ ჯაფარიძე

დაწვრილებით



საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე-ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსი
ქართლოს ყიფიანი

დაწვრილებით



საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე – იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა ნანოშვილი

დაწვრილებით

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ხოლო განყოფილებაში „კონტაქტი“ არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ელექტრონული ფოსტის მისამართი (მაგ.: info@government.gov.ge), ფაქსის ნომერი და საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი. სასურველია არსებობდეს ცხელი ხაზის ნომერიც.

ამასთან, მართალია განყოფილებაში „კონტაქტი“ მოცემულია მთავრობის პრესსპიკერისა და პრესცენტრის სამმართველოს უფროსის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, თუმცა IDFI-ს ექსპერტთა მიერ აღნიშნულ ნომრებზე დაკავშირების ორდღიანი მცდელობა (პერიოდი: 14-15 თებერვალი, 2012 წელი) სამწუხაროდ უშედეგოდ დასრულდა:

პრესსამსახურის კონტაქტები

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

მთავრობის პრესსპიკერი - ავიძბა ლეილა

საქართველო, 0134 თბილისი ინგოროყვას ქ. 7
Tel: (+995 32) 2282164
E-mail: lavidzba@geo.gov.ge

პრესცენტრის სამმართველოს უფროსი - ჩიკვაძე გიორგი

საქართველო, 0134 თბილისი ინგოროყვას ქ. 7
Tel: (+995 32) 2282539
E-mail: lchikvaidze@geo.gov.ge

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების [მ.შ. არსებობის შემთხვევაში ქვედანაყოფის სახით შექმნილ სამმართველოების] სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები, აგრეთვე შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა ქ. ქუთაისში საქართველოს მთავრობის სახლის ადმინისტრაციის მაგალითზე).

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ საქართველოს მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით. შესაბამისად, ვებ-გვერდზე აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემის სრული/ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისა და სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციათა სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, ფაქსის ნომრები, საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები).

4. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „საქართველოს შესახებ“ და მასში არსებული ქვე-განყოფილება „ისტორია“, რაც უდავოდ დადებით ფაქტად აღიქმება, თუმცა ვებ-გვერდზე განცალკევებით არ მოიძიება დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობის საქმიანობის დეტალური ისტორია.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებისა (კომპეტენციის) და საქმიანობის წესის აღწერა. ხსენებული ინფორმაცია სასურველია მოიძიებოდეს განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „საქმიანობა“ ან „ფუნქციები“.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ, განყოფილებაში „მთავრობის კანცელარია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“:

საქართველოს შესახებ	კრემინო-მინისტრი	საქართველოს მთავრობა	მთავრობის კანცელარია	კანცელარია	კანონმდებლობა
სტრუქტურა			სტრუქტურა		
დედაუბა			დედაუბა	ეროსი	
ანგარიშები			ანგარიშები		
სიმაღლეები			სიმაღლეები		
სახელმწიფო შესყიდვები			სახელმწიფო შესყიდვები	დაწვრილებით	
სახელმწიფო შესყიდვები			ფოტოგალერეა	საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე-საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი მერაბ ჯაფარიძე	
ფოტოგალერეა				დაწვრილებით	
				საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ქართლოს ყიფიანი	
				დაწვრილებით	
				საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ზაზა წამბაშვილი	
				დაწვრილებით	
				პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსი ანა უზნეიშვილი	
				დაწვრილებით	
				პრემიერ-მინისტრის პროტოკოლის სამსახურის უფროსი გიორგი ზურაბაშვილი	
				დაწვრილებით	

- არ მოიძიება კანცელარიის სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე);
- არ მოიძიება უშუალოდ კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების (მ.შ. არსებობის შემთხვევაში ქვედანაყოფის სახით შექმნილ სამმართველოების) ჩამონათვალი;
- არ მოიძიება ფისკალურ საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის (დეპარტამენტის), შიდა აუდიტის სამსახურის და ქ. ქუთაისში საქართველოს მთავრობის სახლის ადმინისტრაციის, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია;
- არ მოიძიება კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების (მ.შ. არსებობის შემთხვევაში ქვედანაყოფის სახით შექმნილ სამმართველოების) კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობების და ფუნქციების აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოქმედი დებულების თანახმად საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს კანცელარიის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- მთავრობის პრესსპიკერისა და პრესცენტრის სამმართველოს უფროსის გარდა, არ მოიძიება კანცელარიის არცერთი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი (სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომერი);
- არ მოიძიება კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

7. ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სათათბირო ორგანოები“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული, ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანოების (კომისიების, საბჭოების) შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- სათათბირო ორგანოების დასახელებები;

- სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, აგრეთვე, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- სათათბირო ორგანოების სტრუქტურისა და შემადგენლობის აღწერა;
- სათათბირო ორგანოების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).


➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ვაკანსიათა არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ბაზა, საქართველოს მთავრობის და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში დამტკიცებული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების და პროექტების მონაცემთა ბაზა, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს კორუფციულ დანაშაულობათა ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის ანალიზსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ახორციელებს საქართველოს მთავრობის კანცელარია, აგრეთვე ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების მდგომარეობის და პროგნოზული პარამეტრების ანალიზის თაობაზე დასკვნებისა და რეკომენდაციების ელექტრონული ვერსიები.

ამასთან, განყოფილებაში „პრემიერ-მინისტრი“ არსებული ქვე-განყოფილება „საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის ბრძანებები“ იუწყება, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია:

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის ბრძანებები	საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის ბრძანებები
საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის ბრძანებები	საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის ბრძანებები
საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2008 წლის ბრძანებები	საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის ბრძანებები
საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2006 წლის ბრძანებები	



განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებული ქვე-განყოფილება „საქართველოს მთავრობის 2012 წლის განკარგულებები“ იუწყება, რომ მიმდინარეობს გვერდის რეკონსტრუქცია:



9. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი:

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

10. განყოფილებაში „მთავრობის კანცელარია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სიახლეები“ მოიძიება ძალზედ მწირი და საკმაოდ მოძველებული საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები:

წმ	საქართველოს მთავრობა	მთავრობის კანცელარია	პრესცენტრი	კანონმდებლობა
		სტრუქტურა		
11 დეკემბერი 2011	ინფორმაცია ქ. ქუთაისში საქართველოს დასავლელად გამოცხადებულ კონკურს	დებულება		მდებარეობის
	კონკურსი მოიცავს 2 ეტაპს: ტესტირება კანდიდატები, რომელთაც შესაბამისი სატელეფონო შეტყობინებით, ტესტირებად მინისტრაციულ შენობაში მიმდინარე ინფორმაცია კანდიდატებს ეცნობებათ	ანგარიშები		
		სიახლეები		და გამოცხადდნენ ის ტექსტური ან
		სახელმწიფო შესყიდვები		სახლის
		ფოტოგაღწერა		სხვა აუცილებელი (ით).
14 ივნისი 2011	საქართველოს მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამადიაროვს შეხვდა			
2011 წლის 14 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამადიაროვს შეხვდა.				
30 მაისი 2011	პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური შვეიცარიის პრეზიდენტს მიხაილ კალმინ რეის შეხვდა			
2011 წლის 30 მაისს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური შვეიცარიის პრეზიდენტს მიხაილ კალმინ რეის შეხვდა.				
04 თებერვალი 2011	2011 წლის 4 თებერვალს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა შეხვედრა			
2011 წლის 4 თებერვალს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა სტრუქტურული და სამტატო ოპტიმიზაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.				
20 დეკემბერი 2010	მთავრობის კანცელარიაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით თათბირი გაიმართა			
2010 წლის 15 დეკემბერს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა.				
09 აგვისტო 2010	მთავრობის კანცელარიაში გაიმართა თათბირი კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერების შესახებ			
ამა წლის 9 აგვისტოს, რომელშიც მონაწილეობდნენ სამინისტროების წარმომადგენლები, უმჯობესოდა მთავრობის კანცელარიის უფროსი დავით კერესელიძე.				
27 დეკემბერი 2009	საახალწლო ნაშვის ხე მთავრობის კანცელარიაში			
2009 წლის 27 დეკემბერს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საახალწლო ნაშვის ხის ზეიმზე უპატრონო მავშეთა სახლების აღსაზრდელებს უმასპინძლა.				

11. განყოფილებაში „საქართველოს მთავრობა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მთავრობის სხდომები“ უკვე განთავსებულ ინფორმაციასთან ერთად სასურველია თანდართული ფაილის სახით მოიძიებოდეს უკლებლივ ყველა სხდომის დღის წესრიგი და სხდომათა ოქმები (საოქმო ჩანაწერები):



12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მთავრობის და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საქმიანობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშები და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განყოფილებაში „წლიური ანგარიშები“.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ მთავრობის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს მთავრობის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილება „ტრენინგები“ სადაც განთავსდებოდა სტაჟირებების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსების შესახებ.

16. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-) განყოფილება - „პროგრამები/პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალს (მ.შ. სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში), რომლის დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.


17. სასურველია ვებ-გვერდზე მომხმარებელთათვის დამატებით არსებობდეს ინფორმაცია სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების წესი და იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის კანცელარია.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

18. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას სათაურად „კანონმდებლობა“ სასურველია გადაერქვას სახელი და ეწოდოს „სამართლებრივი აქტები“. სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად განთავსდეს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, სამართლებრივი აქტების პროექტები და მთავრობის კანცელარიის უფროსის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციული აქტები.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია (განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებულ ბმულს „კონსტიტუცია“ მომხმარებელი გადაჰყავს საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე):



- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საპარლამენტო მდივნის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებული შემდეგი სამართლებრივი აქტები მოცემულია ძველი მდგომარეობით:

- საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულება.

აგრეთვე, სასურველია არსებობდეს მითითება, თუ რა საფუძვლით (პირადი, კომერციული საიდუმლოება და ა.შ.) არსებობს პროაქტიულად გამოქვეყნებული საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების ნუმერაციაში წყვეტა. შესაძლებელია აგრეთვე აქტების ნუმერაციის მიხედვით უწყვეტად განთავსება მხოლოდ აქტის მიმღები ორგანოსა და აქტის ნომრის მიხედვით:

28 მარტი 2011

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №98

ვ. ბაინდურაშვილისა და პ. პეტრიაშვილის საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტებზე მომხსენებლებად დანიშვნის თაობაზე

18 მარტი 2011

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №92

ა. ხეთაგურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსად დანიშვნის შესახებ

18 მარტი 2011

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №91

ლ. მზეიძის საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსად დანიშვნის შესახებ

28 მარტი 2011

საქართველოს მთავრობის განკარგულება №656

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის და მისი თანმდევი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მოწონების შესახებ

21 მარტი 2011

საქართველოს მთავრობის განკარგულება №613

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მირითადი ქონების სახით გადაცემის შესახებ

21 მარტი 2011

საქართველოს მთავრობის განკარგულება №610

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის ინსპექციის საშტატო წესისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ

21 მარტი 2011

საქართველოს მთავრობის განკარგულება №609

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციასა“ და „Pioneer Hi-Bred Switzerland S.A“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე

21 მარტი 2011

საქართველოს მთავრობის განკარგულება №608

სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციასა“ და „Zaklad Mechaniczny PROGRESS“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების თაობაზე

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

19. ვებ-გვერდზე სასურველია თვალსაჩინო ადგილას არსებობდეს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა მთავრობის კანცელარიაში მიღების წესის აღწერა, აგრეთვე მთავრობის კანცელარიის უფროსის მიერ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პრემიერ-მინისტრთან მოქალაქეთა მიღების წესი.

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოს მთავრობის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან. მართალია, განყოფილებაში „მთავრობის კანცელარია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ანგარიშები“ მოცემულია საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიშები (2008, 2009, 2010 წლებით დათარიღებული, არ მოიძიება 2011 წლის შესაბამისი ანგარიში), თუმცა ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები:

14 იანვარი 2011
ანგარიში 2010

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში (2010 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე)

14 იანვარი 2011
ანგარიში 2009

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში (2009 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე)

11 მაისი 2008
ანგარიში 2008

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად მომზადებული მთავრობის კანცელარიის წლიური ანგარიში (2008 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე)

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/kancelaria_sajaroinfo.pdf

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/sajaroinfo_statistika.pdf.

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

21. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, კანცელარიასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

22. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება, სათაურად „სახელმწიფო შესყიდვები“, თუმცა შესყიდვების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გასაცნობად მომხმარებელი გადადის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე. ამავე ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე არსებობდეს წლების მიხედვით არქივირებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ 2010 წლამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები), აგრეთვე განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია):

ტრი	საქართველოს მთავრობა	მთავრობის კანცელარია	პრესცენტრი	კანონმდებლობა
		სტრუქტურა		
13 თებერვალი 2012	ელექტრონული ტენდერი	დებულება		
კომპიუტერული მოწყობილობებისა და მა		ანგარიშები		
		სიახლეები		
10 თებერვალი 2012	ელექტრონული ტენდერი	სახელმწიფო შესყიდვები		
საკანცელარიო მომსახურებების შესყიდვა		ფოტოგალერეა		
03 თებერვალი 2012	ელექტრონული ტენდერი			
ოპტიკური ხელსაწყოების შესყიდვაზე				
03 თებერვალი 2012	ელექტრონული ტენდერი			
კომპიუტერული მოწყობილობებისა და მარაგის შესყიდვაზე				
18 იანვარი 2012	ელექტრონული ტენდერი			
სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვაზე				
18 იანვარი 2012	ელექტრონული ტენდერი			
მონაცემთა ბაზების მომსახურების შესყიდვაზე				
18 იანვარი 2012	ელექტრონული ტენდერი			
სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებების შესყიდვაზე				

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/kancelaria_sajaroinfo.pdf

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/sajaroinfo_statistika.pdf).

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

23. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კანცელარიის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა მთავრობის კანცელარიის 2009-2010 წწ. ბიუჯეტი თვიური ან/და კვარტალური ხარჯთაღრიცხვით, მ.შ., 2009-2010 წწ. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/5_mtav.kanc_1.pdf).

- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასაღების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო

ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/kancelaria_budget.pdf.

- არ მოიძიება საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრემიერ მინისტრის და მისი მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების და პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსის თანამდებობრივ სარგოებზე (ცალ-ცალკე), სახელფასო დანამატებზე და პრემიებზე, ქვეყნის შიგნით და გარეთ მივლინებებზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/ 2010 წწ განმავლობაში თვეების მიხედვით(ცალ-ცალკე). მთავრობის კანცელარიის თანამშრომელთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულის თანამდებობრივ სარგოებზე(ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/ 2010 წწ განმავლობაში, რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/2010_wlis_tanamdebobrivi_sargoebi0001.pdf.

- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის კანცელარიის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირობა ვინაობაზე მითითების გარეშე), რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ

ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kancelaria_xelfasi.pdf


ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა კანცელარიის მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და ბონუსების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაციას (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/1_xelfasebipremiebievrazia.pdf.

- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი, რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის კანცელარიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/kancelaria_sarezervo.pdf).


ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ და მისთ.)

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ძიება


ვებ-გვერდის ძიების მოდული გაუმართავად ფუნქციონირებს, ხანდახან ვერ პოულობს ქართული ფონტით ჩაწერილ საკვანძო სიტყვებს:



შედეგი:



ამავე დროს, ძიების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მოდული არ გამოყოფს ნაპოვნ საძიებო სიტყვებს და შედეგად რთულია მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი აღქმა:



ვებ-გვერდზე ძიების მოდული აუცილებლად სრულად უნდა ფუნქციონირებდეს. ასევე აუცილებელია ძიების მოდულს ქონდეს დეტალური ძიების ფუნქცია, რომელიც კატეგორიებისა და ქვე-კატეგორიების მიხედვით მოახდენს ინფორმაციის ფილტრაციას;

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდს არ აქვს საკონტაქტო ფორმა. მსგავსი ფორმები აუცილებელია კონტაქტის მარტივად დასამყარებლად, ასევე გამოიყენება დოკუმენტებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციების გადასაგზავნად. თანამედროვე სისტემებში აუცილებლად უნდა იყოს გაომყენებული ზემოთ აღნიშნული ფორმები.

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდზე ატვირთული ფაილები არ არის უნიკოდური. მაგ:



№ 263 2009 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი
ნათობპროდუქტების ბუნებრივი დანაკარგის


აღნიშნული ფაქტი ხელს უშლის ფაილების საძიებო სისტემებში სათანადო ინდექსაციას, რის გამოც ისინი ნაკლებად მოძიებადი არიან;

ვებ-გვერდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაციის პერიოდული დაარქივება. ნებისმიერ ინფორმაცია, იქნება ეს ვაკანსია, სიახლე, საკონტაქტო ტელეფონები თუ სხვა უნდა იყოს დაარქივებული და მომხმარებელს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს მათი ნახვა.

ინფორმაციის გასავრცელებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე სიახლეების გამოწერის ფუნქცია. ხშირად ამ ფუნქციას პრესა და საინფორმაციო პორტალები იყენებენ. ვებ-გვერდს ეს ფუნქცია ამ ეტაპზე არ გააჩნია;

➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდს აქვს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში გაზიარების ფუნქცია, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელებისთვის, თუმცა მოდული რომელსაც იყენებს ვებ-გვერდი ჩვენი აზრით არ არის პრაქტიკული:



ეს არის მზა მოდული, რომელსაც ქართველი მომხმარებელი ნაკლებად იცნობს და ნაკლებად იყენებს. საჭიროა მზა მოდულის ნაცვლად დაიწეროს ვებ-გვერდისთვის მორგებული ახალი მოდული, რომელიც უფრო გაამარტივეს ინფორმაციის გაზიარებისა და გავრცელების პროცედურებს;

➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდს აქვს დაუცველი საქაღალდეები (Folders), რის გამოც ყველა საქაღალდის ნახვაა შესაძლებელი. ღია საქაღალდეები სახიფათოა, როდესაც მნიშვნელოვან ინფორმაციას ვინახავთ ვებ-გვერდზე.

დაუცველი საქაღალდის მაგალითი:

Index of /files

Name	Last modified	Size	Description
 Parent Directory		-	
 21 30 750949 gilauri...>	09-Feb-2011 13:46	28K	
 21 99 475773 001.jpg	02-Feb-2011 14:16	5.0K	
 21 205 766738 8eng.jpg	02-Feb-2011 14:16	5.0K	
 21 207 271627 6eng.jpg	02-Feb-2011 14:16	6.7K	
 21 210 405570 2eng.jpg	02-Feb-2011 14:16	6.8K	
 21 211 434613 1101en...>	02-Feb-2011 14:16	7.3K	
 21 212 523417 10eng.jpg	02-Feb-2011 14:16	5.8K	
 21 214 542127 1eng.jpg	02-Feb-2011 14:16	5.1K	
 21 216 518342 0007en...>	02-Feb-2011 14:16	5.4K	
 21 217 873754 0005en...>	02-Feb-2011 14:16	7.7K	
 21 218 435762 0036en...>	02-Feb-2011 14:16	5.1K	
 21 219 152573 0011.jpg	02-Feb-2011 14:16	43K	
 21 219 672295 2001en...>	02-Feb-2011 14:16	6.8K	
 21 220 235133 0004p.jpg	02-Feb-2011 14:16	5.8K	
 21 220 690350 2002en...>	02-Feb-2011 14:16	6.7K	
 21 221 408430 0174p.jpg	02-Feb-2011 14:16	8.4K	
 21 221 550709 2005en...>	02-Feb-2011 14:16	4.0K	
 21 221 784878 0172p.jpg	02-Feb-2011 14:16	8.4K	

ვებ-გვერდის მართვის სისტემა საკმაოდ მარტივი მისაგნებია:

Administration Access

user name:

password:

Log In




საჭიროა მისი უკეთესად დამალვა;

აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდს აქვს დაცული პროტოკოლის - HTTPS-ის მხარდაჭერა:



თუმცა, მასაც აღმოაჩნდა ხარვეზი, დაცულ პროტოკოლს ლიცენზიის ვადა გასული აქვს:



➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდში გამოყენებული სურათები დაპატარავებულია პროგრამული კოდით (CSS), სურათები რეალურად გაცილებით დიდი რეზოლუციის არის ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

მაგალითად ვებ-გვერდზე სურათი თუ გამოიყურება შემდეგნაირად:

საიტის რუკა კონტაქტი

შეიქმნეთ სამიწიერი ფრაზა მიება

პრემიერ-მინისტრი საპარტეზლოს მთავრობა მთავრობის კანცელარია პრესცენტრი პარლამენტის მთავრობა

საქართველოს მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამადიაროვს შეხვდა



2011 წლის 14 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ელმარ მამადიაროვს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ქვეყნებს შორის ენერგეტიკის და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხს.



აღნიშნული შეხვედრები ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში 6 თვეში ერთხელ იმართება.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

სინამდვილეში იგი საკმაოდ დიდია:



პროგრამული კოდით დაპატარავებული სურათები ხელს უშლის გვერდების სწრაფ ჩატვირთვას და ანელებს ზოგადად ვებ-გვერდის ფუნქციონირებას;

ვებ-გვერდის URL ანუ დომენის სრული მისამართი არ გენერირდება თანამედროვე სტილით (User Friendly URL), რომელიც აუცილებელია საძიებო სისტემებისთვის და ასევე სასარგებლოა მომხმარებლებისთვის.

მაგალითად არასწორი ფორმატი:

http://government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=248


ბმულის სწორი ფორმატი იქნება შემდეგი:

<http://government.gov.ge/GEO/პრემიერ-მინისტრის ვიზიტი დავოსში>

ვებ-გვერდი არ არის ოპტიმიზირებული **საძიებო სისტემებში**, რაც ხელს უშლის ინფორმაციის სწრაფად და ფართოდ გავრცელებას.

სასურველია ვებ-გვერდზე ატვირთულ ფაილებს ჰქონდეთ შესაბამისი აღნიშვნებიც: დოკუმენტის ზომა, ატვირთვის თარიღი და ჩამოტვირთვების რაოდენობა. ასევე მათ უნდა ჰქონდეთ ალტერნატიული ვერსია HTML ფორმატში, რომელსაც ნებისმიერი ციფრული მოწყობილობა წაიკითხავს.

ამჟამად ვებ-გვერდზე ზემოთ აღნიშნული პატარამეტრები არ არის გათვალისწინებული. მაგ:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მასზე განთავსებული ინფორმაციის მარტივად მოძიება, შესაბამისად დახვეწილი ძიების მოდული პრიორიტეტულია ყველა ვებ-გვერდისთვის. საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე ძიების მოდული გაუმართავია. ვებ-გვერდს დასახვეწი აქვს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები და მოდულები, ისეთები როგორც მაგ. ელექტრონული ჩართულობა და ელექტრონული სერვისები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდზე დაფიქსირდა მცირე ხარვეზები უსაფრთხოების კუთხით, რაც პირველ რიგში უნდა გამოსწორდეს.